პროექტი

დადგენილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში“ (www.matsne.gov.ge; 06/02/2017, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.114.016327). შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1.ამოღებულ იქნეს დადგენილების დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტი.

2. ამოღებულ იქნეს დადგენილების დანართის მე-6 მუხლი.

3 ამოღებულ იქნეს დადგენილების დანართის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

4. დადგენილების დანართის მე-9 მუხლის, პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ,,ზ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ზ) საკრებულოს მიერ მისაღები სამართლებრივი აქტების პროექტების ფინანსური ანალიზი.

5.დადგენილების დანართის მე-9 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის თ) და ი) ქვეპუნქტები:

თ) დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი, განხილვა, ანალიზი და წერილობითი მიმართვების პროექტების მომზადება.

ი) კომპეტენციის ფარგლებში ამ დებულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

6.დადგენილების დანართის მე-10 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ბ[1]" ქვეპუნქტი:

ბ[1]) საკრებულოს ფრაქციებსა და კომისიებში ელ.დოკუმენტბრუნვის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

7. დადგენილების დანართის მე-12 მუხლის, მესამე პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. აპარატის საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობითა და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.